პროექტი

საქართველოს კანონი

საქართველოს საგარეო კურსის უცვლელობის შესახებ

მუხლი 1. კანონის მიზანი

1. ამ კანონის მიზანია საქართველოს უმაღლესი ეროვნული ინტერესების ერთგულების დადასტურება და თავისუფლების, დემოკრატიის, ქვეყნის დამოუკიდებლობის, ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის ხელშეუხებლობის უზრუნველსაყოფად, საკანონმდებლო გარანტიის სახით საქართველოს საგარეო კურსის უცვლელობის უზრუნველყოფა.

მუხლი 2. ნატოში და ევროკავშირში გაწევრიანება

1.საქართველოს უმაღლესი ინტერესია გაწევრიანდეს ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციაში (ნატო). ამ მიზნის შესასრულებლად საქართველოს ხელისუფლებამ უნდა აწარმოოს თანმიმდევრული, შედეგზე ორიენტირებული პოლიტიკა და არ გადადგას ნაბიჯები, რომლებიც წინააღმდეგობაში მოვა ნატო-ში ინტეგრაციის ამოცანასთან.

2.საქართველოს უმაღლესი ინტერესია გაწევრიანდეს ევროკავშირში. ამ მიზნის შესასრულებლად საქართველოს ხელისუფლებამ უნდა აწარმოოს თანმიმდევრული, შედეგზე ორიენტირებული პოლიტიკა და არ გადადგას ნაბიჯები, რომლებიც წინააღმდეგობაში მოვა ევროკავშირში ინტეგრაციის ამოცანასთან.

3.აკრძალულია საქართველოს მთავრობის მხრიდან ისეთი ქმედებები, რაც არსებითად ეწინააღმდეგება და აფერხებს ქვეყნის გაწევრიანებას ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციაში და ევროკავშირში.

მუხლი 3. დეოკუპაციისა, არაღიარების და ჩართულობის პოლიტიკა

1. საქართველო ისწრაფვის ქვეყნის ოკუპირებული ტერიტორიების - აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის დეოკუპაციისკენ და საერთაშორისოდ აღიარებული საზღვრების ფარგლებში ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისკენ. საქართველოს ხელისუფლებამ უნდა აწარმოოს თანმიმდევრული, შედეგზე ორიენტირებული პოლიტიკა ამ მიზნის მისაღწევად ქვეყნის შიგნით და საერთაშორისო ურთიერთობებში.

2. საქართველოს ხელისუფლება არასოდეს აღიარებს აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობას. საქართველოს არ შეიძლება ჰქონდეს დიპლომატიური ურთიერთობები იმ სახელმწიფოებთან, რომლებიც აღიარებენ აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობას. საქართველოს

ხელისუფლებამ უნდა აწარმოოს თანმიმდევრული, შედეგზე ორიენტირებული საგარეო პოლიტიკა იმ მიზნით, რომ მსოფლიოში არ არსებობდეს არც ერთი სახელმწიფო, რომელიც პატივს არ სცემს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას მის საერთაშორისოდ აღიარებული საზღვრების ფარგლებში.

3. დეოკუპაციისკენ სწრაფვის და არაღიარების პოლიტიკის პარალელურად საქართველოს ხელისუფლებამ უნდა აწარმოოს თანმიმდევრული, შედეგზე ორიენტირებული ჩართულობის პოლიტიკა აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის მოსახლეობასთან დასაახლოებლად ჰუმანიტარულ, ადამიანურ, სოციალურ და ეკონომიკურ სფეროებში.

მუხლი 4. საქართველოს ტერიტორიაზე რუსეთის სამხედრო ყოფნის მიუღებლობა

1. აკრძალულია რუსეთის ფედერაციის სამხედრო შენაერთების საქართველოში განლაგება, საქართველოს ტერიტორიაზე შემოსვლა, ან საქართველოს ტერიტორიის გადაკვეთა.

2. აკრძალულია საქართველოში განლაგდეს იმ ქვეყნის სამხედრო ბაზა, რომელსაც ოკუპირებული აქვს საქართველოს ნებისმიერი ტერიტორია, ასევე ამ ქვეყნის შეიარაღებული ძალებისთვის საქართველოს ტერიტორიაზე შემოსვლის, ან გადაკვეთის უფლების მინიჭება.

მუხლი 5. პოსტ-საბჭოთა ორგანიზაციებში წევრობის დაუშვებლობა

1. აკრძალულია საქართველოს გაწევრიანება ისეთ ორგანიზაციებში როგორიცაა: დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა, კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაცია, ევრაზიის კავშირი, საბაჟო კავშირი და სხვა პოსტ-საბჭოთა საერთაშორისო სახელმწიფოთაშორისო პოლიტიკურ, ეკონომიკურ და უსაფრთხოების ან, თავდაცვის ორგანიზაციაში, რომლის წევრი არის რუსეთის ფედერაცია.

მუხლი 6. კანონის ამოქმედება

კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი **მიხეილ სააკაშვილი**

ქუთაისი

2013 წლის თებერვალი